თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4940378

ნომერი: AR1737987

თარიღი : 03.03.2020

გაცემის თარიღი : 28.04.2020

გაცნობის თარიღი : 28.04.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 156;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ თავაძე პ/ნ 01026008927
- თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 1 ბ. 77

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846327 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 3 მარტს №AR1737987 განცხადებით მომართა გურამ თავაძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 4

თებერვლის №4846327 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846327 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, სექტორი - ნაძალადევი, ცოტნე დადიანის ქუჩა №156-ში, №01.12.12.008.034 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 18 თებერვლის №4865759 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 19 თებერვლიდან 2020 წლის 19 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846327 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ საცხოვრებელ ფართობად 4303.8 კვ.მ-ის ნაცვლად 4266.83 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1258.8 კვ.მ-ის ნაცვლად 1017.1 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 474.9 კვ.მ-ის ნაცვლად 475.0 კვ.მ-ის, შესაბამისად, საერთო ფართობად 7299.0 კვ.მ-ის ნაცვლად 7020.43 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს დაადგინა, რომ არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ დადგენილ იქნა, რომ 2020 წლის 4 თებერვლის №4846327 ბრძანებაში საცხოვრებელ ფართობი უნდა იყოს 4266.83 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 1017.1 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 475.0 კვ.მ., შესაბამისად, საერთო ფართობი 7020.43 კვ.მ. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, უბრალოდ ხდება -4.00, +6.600, +9.900, +13.200, +16.500, +23.100, +29.700 და +33.000 ნიშნულების გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846327 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846327 ბრძანებაში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 4266.83 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 1017.1 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 475.0 კვ.მ., საერთო ფართობად - 7020.43 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846327 ბრძანებით შეთანხმებული -4.00, +6.600, +9.900, +13.200, +16.500, +23.100, +29.700 და +33.000 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846327 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №4846327 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.